ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 83 (19525) ◆ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

„ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ“ ᲒᲕᲘᲮᲓᲝᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. უდიდეს შრომის ნაყოფიერებას მიაღწევენ 19 აპრილს თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშაკები. მათ პირობა დადეს საშუალოდ ათი პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ დღიური ნორმა. გამოუშვან მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია. „წითელი შაბათობის“ დღეს დაამზადებენ 35 ათასი მანეთის ახალ ნაწარმს, რომლის გამოშვებაც სულ ცოტა ხნის წინათ არის დაწყებული.

საწარმოს კოლექტივი ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს დაახლოებით ორი ათას მანეთს. შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 600-ზე მეტი კაცი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ოცამდე მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი გამოვა 19 აპრილს ქუთაისის მოტობლოკების ქარხნის ჭიშკრიდან. რეკონსტრუქციისა და გაფართოების რთულ პირობებში მომუშავე საწარმოს კოლექტივი განაგრძობს ხუთწლედის დამთავრებამდე ამოქმედებული 10 ათასი მანქანის საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებას. „წითელი შაბათობის“ დღეს დაამონტაჟებენ და გამართავენ სხვადასხვა ტექნოლოგიურ მოწყობილობას, მშენებლები აასრულებენ ათასობით მანეთის სამუშაოებს.

მოტობლოკების შემქმნელნი ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ რამდენიმე ათას მანეთს.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. ასობით მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას გამოუშვებენ შაბათობის დღეს საქართველოს ქაღალდის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს მშრომელები. 19 აპრილს პრაქტიკულად დამთავრდება ახალი საწარმოო კორპუსის მოპირკეთების სამუშაოები, სადაც აწარმოებენ ერთჯერადი მოხმარების ჩაის პაკეტების სპეციალურ ქაღალდს. რამდენიმე ათას კვადრატულ მეტრ გოფრირებულ ტარას გამოუშვებს გეგმის ადამეტებით. [illegible] ფაბრიკა. [illegible] „შაბათობის“ დღეს სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ქარხანა „საქკაბელის“ მშრომელები. აგერ უკვე კარგა ხანია, რაც ამ წარმოება მთლიანად უნარჩენოა. მეორეული რესურსების გამოყენებამ ქალაქის მოწინავე საწარმოს კოლექტივს შესაძლებლობა მისცა წელიწადში ათ დღეს იმუშაოს დაზოგილი ნედლეულით. 19 აპრილს ქარხნის მუშები ეკონომიის პირად ანგარიშში ჩაიწერენ დაახლოებით 200 კილოგრამ საიზოლაციო მასალას.

ᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲢᲘ

Մ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲙᲣᲘᲑᲘᲨᲔᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ

ᲗᲘᲗᲝᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲨᲠᲝᲛᲐ

ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ წელი სადაცაა დამთავრდება. დაიწყო ბოლო, მოკლე, გაზაფხულივით სწრაფი მეოთხედი. ვიდები შემჭიდროებულია, გადასაჭრელი კი ბევრი პრობლემაა: მასწავლებლებმა უნდა განამტკიცონ განვლილი მასალა, გამოკითხვითა და საკონტროლო ნამუშევრებით შეამოწმონ მოსწავლეების მიერ შეძენილი ცოდნის ხარისხი; კურსდამთავრებულნი მოამზადონ გამოცდებისათვის, დაიხმარონ თითოეულს დარწმუნდეს შრომითი არჩევანის სისწორეში.

გაზაფხულზე სკოლებში განსაკუთრებული განწყობილება სუფევს. ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სკოლის ახალგაზრდობის აღმზრდელები ცხოვრობენ და შრომობენ XXVII ყრილობის იდეებისა და გადაწყვეტილებების უდიდესი ზეგავლენით. არდადეგების დროს მოეწყო პარტიული კრებები და პედსაბჭოები, რომლებიც მიეძღვნა ყრილობის მიერ მიღებული დოკუმენტების განხილვას. საბჭოთა მასწავლებლებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი პარტიის აღმშენებლობის პროგრამას. ამ პროგრამის შეხებამისად გააანალიზეს და პრინციპულად შეაფასეს სკოლის საქმეები და ამოცანები. უწინარეს ყოვლისა აკრიტიკებდნენ იმ ხარვეზებს, რომლებიც ახრკოლებენ სკოლის რეფორმას. არც მისი რეალიზაციის ტემპი, არც სიღრმე, აღნიშნეს მასწავლებლებმა, ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიის მოთხოვნებს. ეს ეხება მოსწავლეების შრომითს მომზადებასაც, განათლების ხარისხსაც და აღზრდასაც.

ერთსულოვანია მისწრაფება: პარტიის მოთხოვნები შეიტანონ თითოეული პედკოლექტივის მოქმედების სამუშაო პროგრამაში. დიახ, მასწავლებელს განსაკუთრებით მოეთხოვება — იგი პასუხისმგებელია მომავლის წინაშე. მისმა აღსაზრდელებმა უნდა აითვისონ ჩვენი ეკონომიკის ახალი სიჩქარეები, ჩაებან ცხოვრებაში საბჭოთა საზოგადოების განვითარების დიდი გარდატეხის ეტაპზე. ამის უნარი კი შეხვედრს მხოლოდ ცოდნით აღჭურვილ, იდეურად მტკიცე ადამიანებს, რომლებიც მზად არიან თავდადებით იშრომონ ხალხის საკეთილდღეოდ, სკოლაში ყველაფერი უნდა იქვემდებარეოდეს მოქალაქის და შრომელის ჩამოყალიბებას: სწავლების მოწინავე მეთოდების კოლექტიური ძიება და პირადი პედაგოგიური ოსტატობა, თვითგანათლება და ურთიერთმომთხოვნელობა.

შრომის შინაარსში ძირეული გარდაქმნები, რომლებიც მიმდინარეობს სახალხო მეურნეობაში, აკადენს სკოლას უფრო ღრმად შეასწავლოს მოსწავლეებს თანამედროვე წარმოების მეცნიერული საფუძვლები, მისი ინტენსიფიკაციის წამყვანი მიმართულებები. მიმდინარე სასწავლო წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ თვალსაზრისით: გაკეთილდება ცხრილში შემოღებულია, როგორც ცნობილია, საგანი „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“, კლასებში გაჩნდა კომპიუტერები, გაკეთილებს უძღვებიან ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების სპეციალისტები. ახალმა საგანმა ყველგან როდი დაიკავა შესაფერისი ადგილი. თუ ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის, უკრაინისა და საქართველოს ბევრ სკოლაში შეძლეს ოპერატიულად მოეწყოთ საკომპიუტერო კლასები, ხათანადო დონეზე წარმართათ სწავლება, ბევრ რეგიონში დიდ სიძნელეებს წააწყდნენ. ამას ობიექტური მიზეზებიც აქვს, მაგალითად, ტექნიკის ნაკლებობა. მაგრამ ეს საქმე დაამბრკოლა სახალხო განათლების განყოფილებათა უინიციატივობამაც: ცოდნა იყო დაუენებული მასწავლებელთა სწავლება მოსამზადებელ კურსებზე. კავშირი ვერ დაამყარეს უმაღლეს სასწავლებლებთან, საშეცილერო დაწესებულებებთან და საწარმოებთან.

ამ ხარვეზებიდან ყველაზე სერიოზული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. დრო გვაჩქარებს. მოსწავლეების კომპიუტერული ცოდნის უზრუნველყოფა მთავარი, გადაუდებელი ამოცანაა. ამ პოზიციებიდან უნდა წაუყენონ საკუთარ თავს მოთხოვნები სკოლამაც და მრეწველობამაც, რომელიც სახალხო ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს უშვებს.

ყოველი მესამე ათწლედდამთავრებული მიდის დღეს წარმოებაში. მათგან მხოლოდ 14 პროცენტი ეწყობა სკოლებში სწავლების პროფილის შესაბამის სამუშაოზე. დანარჩენები შრომის წიგნაკს ისე იღებენ, რომ არც სპეციალობა აქვთ, არც ფსიქოლოგიურად არიან მზად იმისათვის, რაც მათ ელით წარმოებაში. რაზე მეტყველებს ეს ციფრები? უწინარეს ყოვლისა, სკოლებში შრომის გაკვეთილების მცირე ეფექტიანობაზე, მოსწავლეთა პროფორიენტაციისათვის ხუსტ მუშაობაზე.

თითქოსდა ბევრი რამ გაკეთდა. რეფორმის შესაბამისად განახლდა და გაფართოდა შრომითი სწავლების პროგრამები, განისაზღვრა სახალხო საწარმოები, აღიჭურვა ასობით სასკოლათშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი, გამოეყო მასწავლებელთა კადრები. მაგრამ ყველა ამ შესაძლებლობას ხშირად ჯერ კიდევ ცუდად იყენებს ჩვენი სკოლა. ავიღოთ სასწავლო-საწარმოო კომბინატები. მათი აღჭურვისათვის დაიხარჯა დიდძალი სახსრები, სკოლებს მიეგზავნათ დამრიგებელი მუშები, ბავშვებიც აქ საკმაო დროს დაპყოფენ. მაგრამ რა გამოაქვთ აქედან? ისეც ხდება. იტრიალებენ სარეულებზე, „გაიცნობიან“ თითქოს სახარატო, სამკერვალო, სამშენებლო ან სხვა რაიმე ხელობას, ზოგჯერ შეასრულებენ შემთხვევით სასწავლო დავალებას. შეიძლება კი რაიმე პედაგოგიურ ეფექტს ველოდოთ ასეთი „შრომითი მომზადებისაგან“?

მეტ წილ სასწავლო-საწარმოო კომბინატებში მოგვარებული არ არის საზოგადოებრივად სასარგებლო მწარმოებლური შრომა — პიროვნების ჩამოყალიბების მთავარი აღმზრდელი. სსრ კავშირის განათლების სამინისტრო და პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემია ჯერ კიდევ ხათანადოდ არ არიან დაინტერესებული იმით, რომ შეასწავლონ და ფართოდ აითვისონ საწარმოო შრომასთან სწავლების შეერთების მოწინავე გამოცდილება, რომლითაც მდიდარია ჩვენი პედაგოგიკა. ეს არის სასკოლო ქარხნები და სასწავლო სახაჭრეობანი, სპბაზო საწარმოთა უბნები, სასკოლო სახელოსნოების მიერ წარმოების რეალური შეკვეთების შესრულება.

ამოცანა ის არის, რომ პედაგოგიური- და შრომითი კოლექტივების ერთობლივი მეცადინეობით მკვეთრად გავზარდოთ შრომის გაკვეთილების ეფექტიანობა, სარგებლიანად გამოვიყენოთ საწარმოების მიერ სასწავლო მიზნებისათვის, გამოყოფილი მთელი მოწყობილობა, რათა დაკეზმაროთ თითოეულ მოსწავლეს აითვისოს და შეგნებულად აირჩიოს თანამედროვე მუშური სპეციალობა.

უნიკოლოგთა გამოკვლევებით, ახალგაზრდობის სოციალური და პროფესიული ორიენტაცია ხშირად იგვიანებს. საშუალო კი არა, უმცროს კლასებში უნდა გავაცნოთ ბავშვს საუკეთესო შრომელი ადამიანები, მათთვის ხელმისაწვდომ დონეზე შევიყვანოთ თანამედროვე ტექნიკისა და მეცნიერების საინტერესო სამყაროში. ბავშვობიდანვე თითოეულმა უნდა იცოდეს, რომ მთელი ცხოვრება შრომით იქმნება, ისწავლოს, რომ თავდადებაა საჭირო დასახული მიზნის მისაღწევად, მიეჩვიოს ზნეობრივ დისციპლინასა და ორგანიზებულობას.

ეს ამოცანები მარტო შრომის გაკვეთილებზე როდი ხორციელდება. პიროვნების ჩამოყალიბებას უნდა ემსახურებოდეს სკოლის მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, ყველა მასწავლებელი — ფიზიკოსი იქნება, მათემატიკოსი, ბიოლოგი თუ ლიტერატორი ვალდებულია თავისი საგნის საშუალებებით, დარწმუნების ძალით აშზადებდეს მოსწავლეებს ცხოვრებისათვის, ასწავლიდეს შრომას.

სკოლის კომუნისტები მოწოდებული არიან რეფორმის მთავარი მიმართულებებით გაიერთიანონ მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივების მეცადინეობა და შესაძლებლობანი ორგანიზაციული შეკავშირებისა და პირადი ინიციატივის მაგალითით, ფორმალიზმის, პროცესტომანიის, პედაგოგიური კონსერვატიზმის აშკარა უარყოფის მაგალითით. მათი პირველი ამოცანაა მხარი დაუჭირონ კოლექტივებში მუშურ შემოქმედებითს განწყობას, რომელიც გამოწვეულია ყრილობის გადაწყვეტილებებით, შეურიგებლობას ნაკლოვანებებისადმი, მისწრაფებას საქმეებში მკვეთრი გარდატეხისადმი.

თავისი მოვალეობები აქვთ აქ ადგილობრივ პარტიულ ორგანოებსა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებსაც. მათი ვალია ამა პარტა მხარი დაუჭირონ წარმოებისა და სკოლების თანამშრომლობის კარგ გამოცდილებას, არამედ მკაცრად მოპკითხონ სამეფონი ხელმძღვანელებს, რომლებიც უგულებელყოფენ საშეფო სკოლების სარჩუნებას.

ვიზრუნოთ ცხოვრებისათვის, ვასწავლოთ შრომა — ეს სკოლის ამოცანაა, საერთო-სახალხო, საერთო-პარტიული ამოცანაა. ჩვენი სიზოგადოების ეს ძველი ძვირფასი ტრადიცია დღეს ახალ აქტუალურობას იძენს. მასწავლებელი და წარმოების ნოვატორი, კლასის დამრიგებელი და საამქროს უფროსი, პიონერხელმძღვანელი და ქარხნის კომორგი მოწოდებული არიან ერთად აყალიბებდნენ ჩვენი დროის ღირს ოთხას.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

5 Ა�პᲠᲘᲚᲘ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტების, მხარეებისა და ოლქების აგროსამრეწველო კომიტეტების თავმჯდომარეთა, სამომხმარებლო საზოგადოებათა რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო გამგეობების თავმჯდომარეთა, პარტიის რაიკომების მდივნების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეთა, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა, მეცნიერთა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა. საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა თათბირი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ბ. ნ. ელცინი, ი. კ. ლიგაჩოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ვ. მ. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, სხვა ამხანაგები.

ქალაქ კუიბიშევის აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვს დახვედნენ სკკპ საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ე. თ. მურავიოვი, პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, მთელ რიგ უწყებათა-სამინისტროთა ხელმძღვანელები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ყვავილებით შეამკო ვ. ი. ლენინის ძეგლი. შემდეგ ყვავილები მიიტანეს ვოლგისპირა დიდების მონუმენტთან — ქალაქის მცხოვრებთა შრომითი და მხედრული გმირობის სიმბოლოსთან.

ქალაქში ყოფნის პირველი წუთებიდანვე გაიმართა საქმიანი და გულახდილი საუბრები შრომელებთან. ეს საუბრები ერთერთ მთავარ მაგისტრალზე — კუიბიშევის ქუჩაზე დაიწყო.

დიდი ხანია მინდოდა შეეხვედროდი კუიბიშეველებს, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა. თქვენ ჰეშმარიტად რუსულ მხარეში ცხოვრობთ. რუსეთის სახელმწიფო ხომ ვოლგის გაღმა-გამოღმა ჩამოყალიბდა. დღეს ოლქი წარმოადგენს ძლავრ მხარეს მრეწველობის, კულტურის, მეცნიერების, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით. ჩვენი ქვეყანა უზარმაზარია, ცხოვრება უმჯობესდება, ვაშენებთ დიდ ქალაქებს, სოფლებს, ვანახლებთ საწარმოებს, ვავითარებთ კულტურას, მეტს ვუშვებთ საქონელს. მაგრამ იგი ჯერჯერობით არ გვყოფნის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საუბარი კუიბიშეველ მშრომელებთან. ᲡᲐᲥᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ტელეფოტო.

რა უნდა ვაკეთოთ საიმისოდ, რომ ყოველივე უფრო უხვად გვქონდეს და ყოველივე უკეთ ესახურებოდეს ადამიანს, რომ ცხოვრების პირობები უკეთესი იყოს? სწორედ ეს საკითხი იდგა ყრილობის მუშაობის ყურადღების ცენტრში, თანაც გულახდილი სკა-ბაასი გვქონდა.

ამ რამდენიმე დღის წინათ პოლიტბიუროს სხდომაზე ბინის საკითხს განვიხილეთდი. უნდა გითხრათ, რომ გვაქვს რამდენიმე პრობლემა, რომლებიც პირველ რიგში უნდა გადავჭრათ. ბინა, სურსათი, საქონლის ხარისხი. რა თქმა უნდა, მრავლად გვაქვს სხვა პრობლემებიც: საქალაქო ტრანსპორტი, ჯანდაცვა. საქმე ეხება იმას, რომ ჩვენ უნდა წამოვწიოთ მთელი სოციალური სფერო, იგი ჩამოგვრჩა. აი, მაგალითად, თქვენთან კუიბიშევში იგრძნობა ძმიმე მრეწველობით გატაცება, ვაშენებთ ახალ სიმძლავრეებს, ქარხნებს, საამქროებს, სასურველი შედეგისათვის კი ვერ მიგვიღწევია. ვერ მიგვიღწევია იმიტომ, რომ გვავიწყდება: თუ დიდად არ ვიზრუნებთ ადამიანისათვის, ახალი ქარხნებისა და საამქროების შენება. წყლის ნაყვა გამოგვივა. იმისათვის, რომ ადამიანს შეეძლოს წარმატებით იშრომოს, მაშასადამე, საჭიროა მომსახურების, ყოფა-ცხოვრების, ვაჭრობის, ჯანდაცვის სისტემა, საჭიროა კარგი სკოლები, დასასვენებელი ადგილები, რათა კაცმა ძალა მოიკრიბოს ახალი სამუშაო დღის წინ. ყოველივე ეს განსაზღვრავს ადამიანის გუნება-განწყობილებას, საქმისადმი მის დამოკიდებულებას, ერთი სიტყვით, საერთოდ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებას. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ სოციალური სფეროს საკითხები გამწვავდა და რამდენადმე განმსაზღვრელი ხასიათიც შეიძინა.

არადა, ამ საკითხთა გადაწყვეტა გვმართებს იქაც, სადაც დადგემვა მომდინარეობს და აქაც, სადაც წყდება ჩვენი გეგმების რეალიზაციის საკითხები, სახსრების ათვისების ბედი. და აქ ყველამ აქტიურად უნდა ვიმოქმედოთ. ერთი მხრივ ვხედავთ, რომ საცხოვრებელი ბინები არ გვყოფნის, სიძნელეები გვაქვს ჯანდაცვაში, საქალაქო ტრანსპორტზე. მაგრამ, როდესაც საქმეში ვერკვევით, ვრწმუნდებით, რომ თურმე საამისოდ გამოყოფილ სახსრებს ცუდად ითვისებენ. ასეთი გაჭირვების მიუხედავად საცხოვრებელ ბინებს დროულად არ გადასცემენ საექსპლოატაციოდ, სახსრებს მთლიანად ვერ ითვისებენ, წლობით უნდებიან საავადმყოფოების, სბაბავშვო ბაღების მშენებლობას. როგორც მითხრეს თქვენც გკონიათ ზოზინმშენი. მაშასადამე, ადგილზე უნდა გავიკვეთ კონკრეტულ მიზეზებში. სოციალური სფეროს გაუმჯობესების საარსებო საკითხებში გულგრილობა არ უნდა გავაჩაჩანთო.

მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა ყრილობის შემდეგ ჩემი ამ პირველი მოგზაურობის დროს განვსაჯო საკრებროროტო საქმენი. ვიმედოვნებ, რომ კუიბიშეველები, რომლებმაც იცან დამკვრელური მუშაობა და უკვე ბევრი რამ გაკეთეს ქვეყნისათვის, აამოქმედებენ უდიდეს სიმძლავრეებს ვოლგაზე და ყველაფერს იღონებენ, რათა ეს სიმძლავრენი ისე მუშაობდნენ, როგორც წესი და რიგია. მე გთხოვთ, ჩვენი ნაუბარი გადასცეთ ყველა ამხანაგს. მინდოდა, ყველასთვის მეთქვა ეს, მაგრამ მთელ ქალაქს ხომ ვერ შეკრებ, იგი უნდა ცხოვრობდეს და მუშაობდეს. მინდა, ყველა კუიბიშეველს გადავცე ეს სტატეგები პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით: ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს.

დღეს, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, დისციპლინაც უკეთესი უნდა იყოს, წესრიგიც, ხარისხიც და ორგანიზაციაც. და ტექნიკას უნდა ვაუმჯობესებდეთ, ვამოდერნიზებდეთ. ყოველივე ამას ფართო გზა უნდა გავუხსნათ. ყოველივე, რაც კარგი იყო გუშინ, დღეს უკვე აღარ არის საკმარისი. გეზად დავისახავთ იმას, თუ რა უნდა გავაკეთოთ დღეს და განსაკუთრებით — ხვალ. მთავარი ის არის, რომ გეგმები, რომლებიც ჩვენ კარგად მოვიფიქრეთ, განმტკიცებული იყოს ასეთივე კარგი, ერთობლივი გარჯით. ამიტომ ყოველივე, რაც ჩვენ ხვალ და რამდენიმე წლის შემდეგ გვექნება, უნდა ვაკეთოთ დღეს.

რაც შეეხება გარდაქმნას, გარდაქმნა ყველას მოუწევს. თქვენ ალბათ იგრძენთ, რომ ჩვენც, ცენტრალურ კომიტეტში, ახლებურად ვმუშაობთ, გარდავიქმნებით, და საკმაოდ კრიტიკულად. ეს პირდაპირ და დაუფარავად ითქვა ყრილობაზე. ყველანი უნდა გარდავიქმნათ, ამხანაგებო, იმიტომ, რომ ჩვენ ცოტა არ იყოს მოვეშვით, ცოტა არ იყოს ხელი ავიღეთ დისციპლინას, მომთხოვნელობას, კეთილსინდისიერებას. ზოგ-ზოგებს დაავიწყდათ, რომ სინდისი საჭიროა სამუშაოზეც, ამხანაგების წრეშიც და საკუთარ ოჯახშიც. კაცმა სინდისიერად უნდა იცხოვრო. ეს ჩვენი საბჭოთა მორალია.

თქვენთან საუბარი, თქვა შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, — ეს ჩემი სერიოზული სამუშაოა. ჩვენ ყოველი თქვენგანის იმედი გვაქვს. ჩვენი ქვეყანა უზარმაზარია, რესურსები მრავლად გვაქვს, ხალხი განათლებულია, მეცნიერება ერთი საუკეთესოთაგანია მსოფლიოში. უნდა გამოცოცხლდეთ, ამხანაგებო, და საამისო ბიძგი მოგვცა ყრილობამ.

დიდების მონუმენტთან გაიმართა საუბარი პარტიისა და შრომის ვეტერანებთან, ქალაქ კუიბიშევის საპატრონო მცხოვრებლებთან. ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან.

ჩვენ, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, ყრილობის წინ დავიწყეთ, ხოლო ყრილობაზე წესად დავამკვიდრეთ — გულახდილად განვიხილოთ ყველაფერი, მხარი დავუჭიროთ ყველაფერ კარგს, ჯეროვანი პატივი მივაგოთ ყველას, ვინც ნამუსიანად შრომობს, ხოლო იმათზე, ვისაც განზე გადგომა მოუწადინებია ან ფეხს ითრევს, ასევე გულახდილად უნდა ვილაპარაკოთ.

ზოგჯერ გვეუბნებიან, რას იმბორახებთ და იკრიტიკებთ თავს. არა მგონია, ეს დიდი უბედურება იყოს. იმის გამო, რომ ჩვენ ასე გავაჩაღეთ საქმიანობა პარტიაშიც, ქვეყანაშიც, ქალაქებშიც, ოლქებშიც, შრომითს კოლექტივებშიც — ყოველივე ამის გამო, იცით, მარტოოდენ ჩვენი საზოგადოება როდი ამოძრავდა. ჩვენი ეს წინსვლითი მოძრაობა იგრძნეს ყველგან — სოციალისტურ ქვეყნებშიც და მთელ მსოფლიოშიც. ჩვენი ქვეყანა უზარმაზარია, და როდესაც იგი ტემპს იკრებს, როდესაც მხრებს ზლის, როდესაც თავაზობს მსოფლიოს ახალ პოლიტიკას, საშინაოს,—ადამიანის ინტერესებისათვის რომ ზრუნავს, და საგარეოს, — მშვიდობის შენარჩუნებას რომ ესწრაფვის, — ყოველივე ეს უდიდეს გამოხმაურებას იწვევს ჩვენს პლანეტაზე.

მთავარი კი, ამხანაგებო, დღეს ის არის, რომ თუ შინაურულად ვილაპარაკებთ, არ მოვყვებით თავის ქებას და განდიდებას, — ჩვენ შევძელით მთელი ხალხის, მთელი პარტიის აქტიური მონაწილეობის საფუძველზე შეგვემუშავებინა ისეთი პოლიტიკა, რომელიც, თუკი მას განვახორციელებთ, ქვეყანას ახალ მიჯნებს დაალაშქვრინებს ყველა სფეროში და მოუპოვებს მხარდაჭერას მთელ მსოფლიოში. ასეც უნდა იყოს, საბჭოთა კავშირი ყველაფერში მაგალითს უნდა იძლეოდეს, საამისოდ კი ყველას გვმართებს კარგად გავისარჯოთ. მართლაცდა, სასიხარულოა, რომ ადამიანები სულით და გულით გამოეხმაურნენ პარტიის ამ მოწოდებას. ხალხის მხარდაჭერა — აი რა ასხამს ფრთას პარტიის გეგმებს. თუ პარტიის პოლიტიკა ხალხის ინტერესებს გამოხატავს, თუ ხალხი პარტიას მიჰყვება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ძვრა ვუყოთ მთებს.

დაახლოებით ორ საათს გასტანა შეხვედრამ ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საამქროში. სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა, მეამწეევე ზ. ბელოგამ, მვალცავმა ა. იაშინმა, ამომჭრელმა რ. სამარკინამ და სხვებმა თქვეს, რომ მთელმა კოლექტივმა კონკრეტულ სამუშაო პროგრამად აღიქვა ყრილობის გადაწყვეტილებანი. ეს პროგრამა ხორცს ისხამს გეგმებში, თუ როგორ აიყვანონ საწარმო თვისებრივად ახალ დონეზე, წარმატებით დაადგეროგვინონ რეკონსტრუქცია, რომლის მეოთხე ეტაპიც ახლა დაიწყო.

პარტიული ორგანიზაციის, მთელი შრომითი კოლექტივის მეშვეობით მიგნებულია ბევრი ახალი და გაბედული გადაწყვეტა, რომელთაგან მრავალი წარმოების შეუჩერებლივ ინერგება. ისინი საკუტების სპეციალურ ქაღალდს. რამდენიმე ათას კვადრატულ მეტრ გოფრირებულ ტარას გამოუშვებს გეგმის ადამეტებით. [illegible] ფაბრიკა. [illegible] ზეგეგმითს სამუშაოს დაზოგილი [illegible] ნედლეულით, ამიტომ — დღეკვით სარჩენ შეიტანეს კონსერვატორული შაბათობის დღეს სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის ქარხანა „საქკაბელის“ მშრომელები. აგერ უკვე კარგა ხანია, რაც ამ წარმოება მთლიანად უნარჩენოა. მეორეული რესურსების გამოყენებამ ქალაქის მოწინავე საწარმოს კოლექტივს შესაძლებლობა მისცა წელიწადში ათ დღეს იმუშაოს დაზოგილი ნედლეულით. 19 აპრილს ქარხნის მუშები ეკონომიის პირად ანგარიშში ჩაიწერენ დაახლოებით 200 კილოგრამ საიზოლაციო მასალას.

Մ. Ս. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲙᲣᲘᲑᲘᲨᲔᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ

ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲚᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲔᲙᲔᲠᲣᲐ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა გულითადად მიულოცა ტოდორ ჟივკოვს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პოსტზე ხელახლა არჩევა.

საბჭოთა კავშირში ცხოველი ინტერესი გამოიწვია ბულგარეთის კომპარტიის XIII ყრილობის მუშაობამ. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნულმა მისმა გადაწყვეტილებებმა, რესპუბლიკისა, რომლის ავტორიტეტიც საერთაშორისო ასპარეზზე გაუხარელად იზრდება. ჩვენთვის ალობელია ბულგარელი კომუნისტების ზრუნვა იმისათვის, რომ მარად ყვაოდეს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურღვევი მეგობრობა. მის მიერ მიღებული საპროგრამო დოკუმენტები, აღმშენებლობითი კრიტიკის სულისკვეთება, რომელიც ყრილობაზე სუფევდა, უდიდეს ზეგავლენას ახდენენ საბჭოთა საზოგადოების განვითარებაზე. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელების კვალობაზე მისი იდეებისა და მითითებების გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე სულ უფრო გაიზრდება.

ცენტრში და ადგილებზე პარტიამ გააჩაღა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა დასახული გეგმების სარეალიზაციოდ. ყველგან იგრძნობა მასების პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა. ფართოვდება შრომითი კოლექტივების მოძრაობა, რათა ვადამდე შეასრულონ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმები და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის — ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმები.

ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა ყრილობის რეზოლუციის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების იდეებისა და დებულებების შესრულების უპირველესი და პერსპექტიული ღონისძიებანი. დასახულია საკითხთა ნუსხა, რომლებიც უნდა განიხილონ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სამდივნომ.

ყრილობის დავალების შესაბამისად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილებანი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის ქვეყნის სობობ-ენერგეტიკული კომპლექსის მართვა, კაპიტალური მშენებლობის გადაყვანა ნორმატიულ ვადებზე, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

პარტიის XXVII ყრილობამ დასახა განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა: უმოკლეს ვადაში მივაღწიოთ სურსათით ქვეყნის სრულ უზრუნველყოფას.

ხელმძღვანელობენ რა პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შესახებ. პარტიის ეს პრინციპული მნიშვნელობის პოლ

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

ხელმძღვანელების სტაბილური შემადგენლობა. ეს მთლიანად ეხება მასობრივი პროფესიების კადრებსაც.

შეეხო რა აგროსამრეწველო წარმოებისა და მეცნიერებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას, ი. კ. ლიგაჩოვმა ხაზი გაუსვა ადგილობრივი პარტიული კომიტეტების პასუხისმგებლობას აგრომრეწვის მართვის ორგანოების საქმიანობისათვის. მან თქვა: ახლა, როცა აგრომრეწვის მართვის ერთიანი ორგანოები პირველ ნაბიჯს დგამენ, განსაკუთრებით დროულია შევახსენოთ მათ, რომ უნდა გამოიყენონ **თავიანთი** უფლებები, შეასრულონ **თავიანთი** მოვალეობანი, რომ მართვის **თითოეულ** დონეს ეკისრება **კონკრეტული** პასუხისმგებლობა. აგრომრეწვის, მართვის ორგანოსაცა და დარდაქმნა შეიძლება არარად იქცეს, თუ მოხდება დუბლირება, სხვადასხვა დონის მართვის ორგანოების ამოცანებისა და ფუნქციების აღრევა. ეს არ უნდა დავუშვათ. განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ აგრომრეწვის მართვის ორგანოების პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის.

თუ დავსვამთ კითხვას: რა არის ყველაზე დამახასიათებელი აგრომრეწვის სამეურნეო მექანიზმის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დოკუმენტისათვის, ძალზე მოკლედ შეიძლება გავცეთ ასეთი პასუხი. არა მარტო სამეურნეო უფლებების გაფართოება, ეკონომიური დაინტერესების გაძლიერება, არამედ სურსათ-სანოვაგით ადგილობრივი მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მათთან დაკავშირებული საწარმოების, აგრეთვე მართვის ტერიტორიული ორგანოებისა და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გადიდება.

ახლა მკვიდრდება წესი, რომლის მიხედვითაც ცენტრალურ ფონდებში მიწოდების შემდეგ დარჩენილი მთელი პროდუქცია ხმარდება ადგილობრივ მომარაგებას.

ცენტრალური კომიტეტი მეტად მოჰკითხავს ოლქებსა და რესპუბლიკებს ადგილობრივ შესაძლებლობათა გამოყენების გზით სურსათ-სანოვაგით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა პარტიის ნოვოსიბირსკისა და ვოროშილოვგრადის საოლქო კომიტეტების ანგარიშები. მომთხოვნელობა ადგილობრივი ორგანოებისადმი ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაიზრდება.

მთავარი ის არის, თქვა დასასრულ ი. კ. ლიგაჩოვმა, რომ ძვირფასი დიდი უკუგება ეკონომიკის აგრარული სექტორის მართვის ორგანიზაციული და ეკონომიკური გარდაქმნისაგან, ქვეყნის აგრომრეწვის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრებისაგან. არსებითად გავზარდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა, შევამციროთ მისი წარმოების ხვედრითი დანახარჯები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის სახაგრომრეწვის თავმჯდომარემ ვ. ს. მურახოვსკიმ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ რუსეთის სფსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ლ. ბ. ერმინი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ა. მოზგოვი, ბელორუსის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ი. დემენტეი, ყაზახეთის სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ე. ხ. გუკასოვი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. ანტონოვი, როსტოვის ოლქის ოკტომბრის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „პრიდონსკოის“ დირექტორი ე. ა. გოლოვჩანსკი, ალტაის მხარის აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ა. კულეშოვი, კრასნოდარის მხარის აგროსამრეწველო კომბინატ „ყუბანის“ გენერალური დირექტორი ვ. ვ. ლომაჩი, ბრიანსკის ოლქის ნოვოზიბკოვის პარტრაიკომის მდივანი ი. პ. ტაკუნოვი.

მომხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ დროულია და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული იმ ამოცანის გადაწყვეტაში, რომ მივაღწიოთ წარმოების სტაბილურ ზრდას, საიმედოდ უზრუნველვყოთ ქვეყანა სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით.

თათბირზე განიხილეს მარცვლეულის — სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველის წარმოების გადიდების, საკვები ბაზის განტკიცების პრაქტიკული ღონისძიებანი.

კონკრეტული მაგალითებით დადასტურდა, რომ წამახალისებელი ღონისძიებანი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საშუალებას მისცემს მეურნეობას გაუძღვნენ უფრო ეფექტიანად, აამაღლონ მარცვლეულის წარმოების რენტაბელობის დონე. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე მიმდინარე წელს ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ გაზარდონ მარცვლეულის წარმოება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ ინტენსიური ტექნოლოგიით მის თესვა-მოყვანას. მეურნეობებს, რომლებიც გადაჭარბებით შეასრულებენ მარცვლეულის მიყიდვის გეგმებს, წახალისების წესით, ფონდების დამატებით მიეცემათ ავტომობილები, ტრაქტორები, საშენი მასალები და სხვა დეფიციტური რესურსები.

დადგენილება ითვალისწინებს არა მარტო მარცვლეულის წარმოების სტიმულირების ღონისძიებებს, არამედ ზრდის აგრეთვე პასუხისმგებლობას მისი რაციონალური გამოყენებისათვის. აი ცნობა იაროსლავლის ოლქის შესახებ. თუ ადრე, 15 წლის წინათ, სარძევე მეცხოველეობაში კვების სტრუქტურა იყო: 20 პროცენტი — თივა, 35 პროცენტი — წვნიანი საკვები, ამდენივე საძოვი საკვები და მხოლოდ 10 პროცენტი კონცენტრატები, ახლა თივის წილი შემცირდა 2-ჯერ და მეტად და საძოვი საკვები 1,5-ჯერ. სამაგიეროდ ერთიორად გაიზარდა კონცენტრატების ხვედრითი წილი, ძროხის რძის პროდუქტიულობა კი შემცირდა.

უყოყოთად ექცევიან მარცვლეულს ოქაც, სადაც იგი შეაქვთ. უზბეკეთის სს რესპუბლიკაში ლიტრ რძეზე საშუალოდ იხარჯება 520 გრამი კონცენტრატი, ღორის კილოგრამ წონამატებაზე — 10 კილოგრამი საფურაქე მარცვალი. ასეთივე მდგომარეობაა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაშიც. ეს მარცვლეული რესურსების აშკარა განაფლვაა.

ახლა შემოღებულია საფურაქე მარცვლეულის გამოყოფის ახალი წესი. ცილით შეწონასწორებული საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფისა და მისი რაციონალური გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ აგროსამრეწველო კომიტეტებს. 1987 წლიდან კომბინირებული საკვების, ცილა-ვიტამინიანი დანამატის წარმოების პროგრამასა და მათს ასორტიმენტს განსაზღვრავენ თვით რესპუბლიკები, ამასთან ამ პროდუქციის გამომუშავებაში ფართოდ გამოიყენებენ ადგილობრივ სანედლეულო რესურსებს.

ორატორებმა და მომხსენებელმა ხაზი გაუსვეს, რომ წლების მიხედვით მარცვლეულის შესყიდვის სტაბილური გეგმების დადგენა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის, მხარეებისა და ოლქებისათვის, ძირითად სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ცენტრალურ ფონდებში მიწოდების დავალებათა მიცემაზე გადასვლა ხელს შეუწყობს კვების პროდუქტების წარმოების გადიდებითა და ამ პროდუქციით მოსახლეობის უზრუნველყოფით ადგილობრივი ორგანოების დაინტერესების გაძლიერებასა და პასუხისმგებლობის გადიდებას.

ამისათვის ხელშეწყობი პირობები ექმნებათ არა მარტო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, არამედ სამრეწველო საწარმოების, მუშებისა და კოლმეურნეების დამხმარე მეურნეობებსაც. დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული და სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით რეალიზებული ხორცი ჩაითვლებათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესყიდვის გეგმებში. ამასთან ერთად მთავარი ყურადღება ექცევა კოლმეურნეობრივ-საბჭოთამეურნეობრივი წარმოების განვითარებას.

ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოების დაჩქარებულ ზრდას, ამ პროდუქციის დანაკარგების შემცირებას ხელს შეუწყობს ნებართვა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს მიჰყიდონ და საკოლმეურნეო ბაზრებში გაყიდონ კარტოფილისა და ხილ-ბოსტნეულის საგეგმო შესყიდვის დაახლოებით 30 პროცენტი და მთელი ზეგეგმითი პროდუქცია, რაც ჩაითვლებათ სახელმწიფო გეგმის შესრულებაში. აგროსამრეწველო კომიტეტებს ნება ეძლევათ დააწესონ ბოსტნეულის, ხილის, კარტოფილისა და სხვა მალფუჭებადი პროდუქციის საცალო ფასები, აგრეთვე იმ ცალკეული სასურსათო საქონლის (ჯემები, წვენები, კონფიტიურები, კონსერვები) წამახალისებელი ფასები, რომელიც იყიდება საქვეუწყებო მაღაზიებში.

ჩვენ ბევრი მაგალითი გვაქვს იმისა, თუ რა კარგად წარმართავენ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობას მოსახლეობისგან ხორცეულის, ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის შესყიდვისა და ამ პროდუქციის ვაჭრობის ორგანიზაციისათვის ვოლგოგრადის, ბელგოროდის, კურგანის, ლვოვისა და სხვა ოლქებში. ახლა კოოპერაციული ვაჭრობა ყველგან მნიშვნელოვნად უფრო ფართოდ უნდა განვთარდეს.

მომხსენებელმა და ორატორებმა დიდი ყურადღება დაუთმეს წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფას. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობისა და შესყიდვის დაგეგმვის ნორმატიულ მეთოდზე, აგრეთვე მიწის ეკონომიკური შეფასების, ძირითადი ფონდების, შრომითი და სხვა რესურსებით უზრუნველყოფის გათვალისწინებით მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განაწილებაზე გადასვლა, თათბირის მონაწილეთა აზრით, საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ გეგმების ობიექტურობა და რეალურობა, გავაძლიეროთ მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებისათვის. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საჭიროა ამაღლდეს ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მთელი საგეგმო მუშაობის დონე.

დადგენილებით დასახულია აგროსამრეწველო კომპლექსში ფასწარმოქმნის, დაფინანსებისა და დაკრედიტების გაუმჯობესების, ამ საკითხთა გადაწყვეტაში ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოების ღონისძიებათა სისტემა. თათბირზე ყურადღება მიეპყრო იმას, რომ უფრო სრულად უნდა იქნეს გამოყენებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის შექმნილი ხელშეწყობი ფინანსური ვითარება, მინიჭებული უფლებები და შესაძლებლობანი მათი ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის.

დიდი ცვლილებებია დასახული დადგენილებით კაპიტალური მშენებლობის ორგანიზაციის დარგში. საჭიროა, აღინიშნა თათბირზე, რომ უფრო სრულად გამოვიყენოთ გათვალისწინებული ღონისძიებანი სოფლად მშენებლობაში საქმის ვითარების გაუმჯობესებისათვის. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა დავამთავროთ თვისებრივად ახალი სამშენებლო ორგანიზაციების — სახელმწიფო-კოოპერაციული და კოოპერაციულ-სახელმწიფო სამშენებლო გაერთიანებების ფორმირება, დავაკომპლექტოთ ისინი კვალიფიციური კადრებით, განვსაზღვროთ მათი სამართლებრივი სტატუსი.

თათბირის მონაწილეთა ყურადღება მიეპყრო აგრეთვე მიმდინარე საქმეებს, საგაზაფხულო შინდვრის სამუშაოებს, პირუტყვის კამოზამთრების წარმატებულ დამთავრებას, 1986 წლის — მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო დავალებათა შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. პ. ნიკონოვმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა: ახლა დადგა დრო, რომ იმ ჩანაფიქრთა ენერგია, რომლითაც პარტია შეიარაღა თავის XXVII ყრილობას, გადავაქციოთ კონკრეტულ ღონისძიებათა ენერგიად და არსად, ყოველდღიურ ცხოვრებაში შევინარჩუნოთ ყრილობის ატმოსფერო და მისი განმახლებელი ძალა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ითვალისწინებს დაგეგმვის ძველი პრინციპი-ვის ან პრემირების ფონდისათვის გათვალისწინებული სახსრებით.

სამეურნეო ანგარიშის შემდგომი სრულყოფა-გაღრმავება დაკავშირებულია მართვის საამქრო სტრუქტურაზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გადასვლასთან. ეს საშუალებას მოგვცემს ჩამოვაყალიბოთ პირველადი სამეურნეოანგარიშიანი ქვეგანაყოფები, რომლებსაც ექნებათ საკმარისი ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობა. შეეძლებათ ეფექტიანად გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკა და პროგრესული ტექნოლოგიები და ამის საფუძველზე გამოუშვან მეტი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.

მომხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს ისეთი ფაქტები, როცა ჯეროვნად არ აფასებენ ეკონომიკური მუშაობის, მატერიალური და მორალური სტიმულების როლსა და მნიშვნელობას წარმოების ეფექტიანობის გადიდების საქმეში. ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა გარკვეულმა ნაწილმა ცუდად იცის შრომის ანაზღაურების მოქმედი პირობები, სამეურნეო ანგარიშისა და ოლქებრივი იჯარის ორგანიზაციის პრინციპები, საწარმოთა დაგეგმვისა და დაფინანსების მეთოდები, რადგან ეს ეკონომისტებისა და ბუღალტრების საქმე ჰგონია. ასეთი მიდგომა სერიოზულად უნდა დავძლიოთ. საჭიროა, რომ წარმოთა ხელმძღვანელებმა კარგად აითვისონ მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმის ყველა მოთხოვნა, თორემ შემუშავებული ღონისძიებანი ვერ მოგვცემენ სათანადო უკუგებას.

თათბირზე აღინიშნა, რომ მეტად საჭიროა წარმოების დაჩქარებული განვითარების და მისი ეფექტიანობის გადიდების მატერიალური სტიმულები შეეუხამოთ სახელმწიფოო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებას, შრომითი კოლექტივების ინიციატივის განვითარებასა და შრომითი აქტიურობის გადიდებას, კვალიფიციური კადრებით აგროსამრეწველო წარმოების ყველა უბნის დაკომპლექტებას. ამასთან უნდა ვიზრუნოთ, რომ შრომის სათანადო პირობები შეიქმნას თითოეულ სამუშაო ადგილას, გაუმჯობესდეს მშრომელთა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობები.

დიდი ადგილი ეჭირა ი. კ. ლიგაჩოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქმიანი, კონსტრუქციული ხასიათის იყო თათბირი, რომელმაც სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა სულისკვეთებით ჩაიარა, და გამოთქვა რწმენა, რომ მის შედეგად შემუშავებული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებულ გადაწყვეტას.

(სსაგენტი).

ინსტიტუტის იუბილე

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტს ნახევარი საუკუნე შეუსრულდა.

ამ ხნის განმავლობაში მან მოამზადა დაახლოებით 70 ათასი მაღალკვალიფიციური ექიმი, გახდა მედიცინის სხვადასხვა დარგში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განხორციელების მძლავრი ბაზა. მისმა სპეციალისტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავებასა და კლინიკურ პრაქტიკაში დანერგვას.

ინსტიტუტის იუბილეს მიეძღვნა საზეიმო სხდომა. მოხსენება ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ გააკეთა მისმა რექტორმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ს. ნ. ხეჩინაშვილმა.

მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და იუბილესთან დაკავშირებით ინსტიტუტი დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით. ინსტიტუტის კოლექტივს ჯილდო გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ. მან გულთბილად მიულოცა კოლექტივს იუბილე, უსურვა ახალი წარმატებები.

(სსაქინფორმი).

გავააქტიუროთ ადამიანის ფაქტორი

გამოვიმუშაოთ წარმოების ბატონ-პატრონის გრძნობა

სკკპ XXVII ყრილობამ შეიმუშავა სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოვლისმომცველი სრულყოფის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის პროგრამა. სწორედ ამ პროგრამის რეალიზაციით უნდა უზრუნველვყოთ სოციალიზმის უმაღლესი მიზნის — საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრული დაკმაყოფილება.

პარტიის მიერ შემუშავებული სტრატეგიული კურსის განხორციელებისათვის ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტია ადამიანის ფაქტორის გააქტიურება, ამოქმედება.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის ფაქტორის, კერძოდ კი, მუშათა გააქტიურების საეკეთესო საშუალებაა მათთვის საზოგადოებრივი წარმოების ჭეშმარიტი ბატონ-პატრონის გრძნობის გამომუშავება, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ადამიანი დიდნაყოფიერად და ხარისხიანად მაშინ შრომობს, როცა იცის, რომ რასაც ქმნის, მას ეკუთვნის და მის კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს.

სამეურნეო პრაქტიკაში რესურსების უყაირათო ხარჯვის, შრომის დისციპლინის დარღვევის, წუნის კეთების, წვრილმახი ქურდობის და სხვა არასასურველი ფაქტები იმაზე მიგვანიშნებს, რომ მშრომელების ერთ ნაწილს საზოგადოებრივი წარმოების ბატონ-პატრონის გრძნობა ჯერაც ვერა აქვთ სრულად გამომუშავებული.

როგორ გადავწყვიტოთ ეს ამოცანა? გულთბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მშრომელთათვის ბატონ-პატრონის გრძნობის ჩანერგვა და განვითარება სიტყვით შეიძლებოდეს. საკუთრებისადმი მზრუნველ დამოკიდებულებას აყალიბებს ადამიანის შესაძლებლობა — გავლენა მოახდინოს წარმოების ორგანიზაციაზე. შრომის შედეგების განაწილებასა და გამოყენებაზე. ამიტომ საჭიროა წარმოების მართვაში მშრომელთა აქტიური ჩაბმა, რადგან მართვა სწორედ მესაკუთრის პრეროგატივაა, უფლებაა. როგორც კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევებიდან არკვევა, მშრომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ მონაწილეობს წარმოების მართვაში, ხოლო ზოგიერთ მათგანს ასეთი მონაწილეობა აუცილებლად არ მიაჩნია. საქმის ასეთი ვითარება, გარკვეულწილად, იმაზეც მეტყველებს, რომ წარმოების მართვის ეფექტიანობის ზრდის საკმაოდ დიდი რეზერვები გვაქვს. ამ რეზერვების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის, და, მაშასადამე, მშრომელთა გააქტიურების საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია „მართვაში შრომითი კოლექტივების მონაწილეობის შესახებ“ კანონის სრული უკუგებით ამოქმედებას.

ჩვენი დაკვირვების საფუძველზე, სამწუხაროდ, ზოგიერთი საწარმოო კოლექტივი დღემდე ნაკლებეფექტიანად იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ ბევრი მშრომელი ჯერაც არ იცნობს კანონში ასახულ დებულებებს. უფრო მეტიც, ზოგჯერ ვაწყდებით ისეთ კერძოზსაც, როცა ცალკეულმა მუშაკებმა ამ კანონის არსებობაც კი არ იციან. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას სახელმძღვანელო წარმოების მართვაში შრომითი კოლექტივების მონაწილეობის შესახებ და ისწავლებოდეს იგი როგორც უმაღლეს, ისე ტექნიკურ და საშუალო-პროფესიულ სასწავლებლებში. მშრომელთა ეკონომიკური სწავლებისას საჭიროა გავითვალისწინოთ თუ მართვის რომელ საზოგადოებრივ ინსტიტუტში მონაწილეობენ ისინი. მაგალითად, თუ მუშაკი ეკონომიკური ანალიზის საზოგადოებრივი ბიუროს წევრია, მაშინ, ცხადია, მისი სწავლებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზის და ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად საკითხებზე.

იმისათვის, რომ მშრომელებს განუვითაროთ საზოგადოებრივი წარმოების ნამდვილი ბატონ-პატრონის გრძნობა, საჭიროა ყოველმხრივ გამართული სამეურნეო მექანიზმი. სწორედ ამ უკანასკნელის (ხელფასი, პრემია, მოგება, ფასი და ა. შ.) მეშვეობით აღიქვამს (ან ვერ აღიქვამს) თითოეული მუშაკი შედარებით მაღალი რანგის (კოლექტიურ, საზოგადოებრივ) ინტერესს როგორც პიროვნულ, საკუთარს. ხოლო თუ ხელფასი, პრემია და ა. შ. ვერ ასტიმულირებს ინიციატივიან, შემოქმედებითს, ძიებითს შრომას, მაშინ, ცხადია, დაქვეითდება უშუალო მწარმოებელთა აქტიურობაც.

მშრომელებისათვის ბატონ-პატრონის გრძნობის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ანგარიშის შემდგომ გაღრმავებასაც. მჭიდრო კავშირი უნდა დამყარდეს საწარმოო კოლექტივების საბოლოო შედეგებსა და მათ მიერ გამომუშავებულ ფონდებს (წარმოების განვითარების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და ბინათმშენებლობის, მატერიალური სტიმულირების ფონდები) შორის, უნდა შეეწყვეტოთ ჩარევა საწარმოო კოლექტივების კანონიერ უფლებებში, თვით მათ მივცეთ შესაძლებლობა, რათა ეს ფონდები საკუთარი შეხედულებისა და საჭიროებისამებრ გამოიყენონ. უნდა გავაძლეროთ თითოეული მუშაკის შრომის ანაზღაურების დამოკიდებულება საბოლოო შედეგებში მათ პირად წვლილზე. აღმოვფხვრათ ზოგის უყაირათო საქმიანობის სხვების კარგი მუშაობის შედეგებით დაფარვის პრაქტიკა, ამასთან გავზარდოთ პასუხისმგებლობა ცენტრალიზებული წესით დაგეგმილი მაჩვენებლების შესრულებისათვის.

ალბათ, მომწიფდა იმის აუცილებლობაც, რომ საერთო კრებებს შუა პერიოდში არა მარტო ბრიგადებში, არამედ საწარმოთა დონეზეც ფუნქციონირებდეს შრომითი კოლექტივის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშები, სპეციალისტები.

ბოლო პერიოდში სავსებით სამართლიანად გაიზარდა მოთხოვნები ადამიანების მიმართ. სხვათა შორის, ეს მოთხოვნა ძალიან კონკრეტულია: „ვერ ართმევ თავს მინდობილ საქმეს — ჩამოგვცილდი!“ თუმცაღა, როგორც პრაქტიკა გვიკარნახებს, ეს პრინციპი უმეტესად ცალმხრივ — „ზევიდან — ქვევით“ მოქმედებს. ეფიქრობთ, ფრიად მნიშვნელოვანია სრული უკუგებით ამოქმედდეს „ქვევიდან — ზევით“ კონტროლის მექანიზმიც.

არცთუ იშვიათად ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომელსაც რესურსების სიჭარბის, ექსტენსიური ბიზნესის ბრალობა, ეწინააღმდეგება ჩამოუყალიბდა ეკონომიკური აზროვნება, ინერციის ძალით მოძველებული მეთოდებით განაგრძობს საქმიანობას. ბევრ მათგანს ჰგონია, რომ თუ მშრომელთა აზრისა და წინადადებების გაუთვალისწინებლად მიიღეს მმართველურ გადაწყვეტილებას, ამით დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზას გაამარტივებს, შეამოკლებს. სინამდვილეში კი პირიქით ხდება — ეს გზა ხელოვნურად კიდევ უფრო რთულდება და გრძელდება, ამიტომ, რომ საზოგადოებრივი წარმოების გეგენტური მასშტაბებისა და რთული სამეურნეო კავშირის პირობებში მეურნეობის ოპტიმალური მართვა სრულიად შეუძლებელია მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობისა და ინიციატივის გარეშე. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობის ყველა როლის შეთანხმებული ფუნქციონირება, ო�ალური (კოლექტიური) ინტერესების საზოგადოებრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარება, ანუ დემოკრატია, წარმოუდგენელია ცენტრალიზმის გარეშე. საქმე ის გახლავთ, რომ მეურნეობრიობის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპში წამყვანია დემოკრატია (ხელისუფლების სახალხოობა), ხოლო ცენტრალიზმი ამ უკანასკნელის რეალიზაციის საშუალებაა. ამიტომ ჩვენში არის არა უბრალოდ ცენტრალიზმი, არამედ დემოკრატიული ცენტრალიზმი, ვინაიდან წარმოების ცენტრალიზებული ხასიათი ხდება საზოგადოების დაკვალებით და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

უშუალო მწარმოებელთა აქტიურობის, რეალური მეპატრონის გრძნობის გამოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება. როგორც ცნობილია, ხარისხის პრობლემას მთელი მეთერმეტე ხუთწლედი მივუძღვენით, მაგრამ ეს პრობლემა დღემდე მაინც ვერ გადაეჭრათ. ამაზე მეტყველებს კონკრეტული ციფრებიც. გასულ ხუთწლედში მარტო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის საწარმოთა საწყობებში დაგროვდა 150 მილიონი მანეთის ძნელად სარეალიზაციო, უსარგებლო, უხარისხო პროდუქცია. სხვათა შორის, ეს არის ქალაქის მთელი მრეწველობის ორი კვირის მუშაობის შედეგი, რომელიც დასაქმებულია 140 ათასი კაცი. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი მრავალია და მათ შორის მთავარი მაინც უშუალო მწარმოებელთა შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა. მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანმა შეიყვაროს თავისი სამუშაო, კეთილსინდისიერად მოეკიდოს მას, იგი უნდა იყოს მიმზიდველი, შინაარსიანი, საინტერესო. რა მდგომარეობაა ამ მხრივ? უკანასკნელ წლებში მოწყობილი სოციოლოგიური გამოკვლევები ერთსა და იმავე შედეგს იძლევიან: გამოკითხულთა ნახევარზე მეტი სამუშაოს შეცვლის მიზეზად ასახელებს არა შრომის ანაზღაურებით, არამედ უწინარეს ყოვლისა, შრომის პირობებით და შინაარსით უკმაყოფილებას. ეს ფაქტი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სოციალისტური საამართლიანობის დამკვიდრებისა და ამ გზით უშუალო მწარმოებელთა გააქტიურების მიზნით საჭიროა მკაცრად დავიცვათ სოციალიზმის მთავარი პრინციპის „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“ არა მარტო მეორე ნაწილი — „თითოეულს — შრომის მიხედვით“, არამედ პირველი ნაწილიც — „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით“.

სამწუხაროდ, როგორც სამეურნეო პრაქტიკა გვიკარნახებს, მხოლოდ შრომის ანაზღაურების სრულყოფით ცდილობენ მშრომელთა გააქტიურებას, რაც უმეტესად უშედეგოდ მთავრდება. შევნიშნავთ, რომ შრომის მიხედვით განაწილება მაშინ ახდენს წარმოების ზრდაზე დადებითს ზემოქმედებას, როცა შესასრულებელი სამუშაო სრულად შეესატყვისება შუშაკის უნარსა და შესაძლებლობებს. აღსანიშნავია, რომ თუ მუშაკი იქ არის, სადაც არ უნდა იყოს, იგი თავისი უნარის, შესაძლებლობების და შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას ვერ მოახდენს. ასეთ შემთხვევაში რა ღონისძიებებიც უნდა განხორციელდეს განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფის მიზნით, მაინც ვერ მივიღებთ სასურველ შედეგს, ვერ გავზრდით უკუგებას მწარმოებელთა შრომის აქტიურობას.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება დიდად არის დამოკიდებული სათანადო ფონდზე, დაყენებულ კონტროლზე. სამწუხაროდ, კონტროლის გაუმჯობესების საქმეში უკანაურ წინააღმდეგობებს ვაწყდებით. მაგალითად, ტექნიკური კონტროლის განყოფილების ინსპექტორი არსებული წესის თანახმად ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალს განეკუთვნებიან. ეს აპარატი კი, როგორც ცნობილია, რეგულარულ შეკვეცას ექვემდებარება. ეს მაშინ, როცა საკონტროლო ოპერაციები, რომლებიც ტექნოლოგიური პროცესების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, სულ უფრო რთულდება და პასუხსაგები ხდება, მაშასადამე, ტექნიკური კონტროლის განყოფილების ინსპექტორთა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატისადმი მიკუთვნება არასწორია.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ საჭიროა სამეურნეო ხელმძღვანელებმა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პრინციპულად და თანამიმდევრულად იბრძოლონ მშრომელთა საწარმოო და მმართველობითი აქტიურობის შემდგომი გაძლიერებისათვის, რათა უზრუნველყონ როგორც ახალი ხუთწლედის წარმატებული დამთავრება, ისე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მყარი ბაზის შექმნა.

უ. სამადაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

განუსაზღვრელად ვიღაცაოთ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა უთუო შესრულებისათვის!

— დელეგატი ზიჰროვს, ბოლოს —

დაჩქარება ხუთწლედის დევიზია

ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები ენერგიულად შეუდგნენ სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. საქმეში ტონის მომცემნი არიან ქვეყნის ამ უდიდესი ფორუმის უშუალო მონაწილენი. ისინი გამოდიან შრომითი კოლექტივების კრებებზე, სიტყვით და საქმით რაზმავენ ადამიანებს, განუმარტავენ მათ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა დ. ბიწაძემ ჩაიწერა სიტყვები რამდენიმე მათგანის გამოსვლებიდან.

მთავარია წარმოების ზრდა

სკკპ XXVII ყრილობაზე ფართოდ აისახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგია. ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, რომელიც მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა, ნათ

ხელფასი ყოველგვარ ამინდში უნდა გაიცეს!

„ვინცა ქმნა თიხა ჰურჰელად, რას უძღვნის ხელფასადაო?...“

დ. ბურამიშვილი.

ხელფასი ეკონომისტი მეცნიერისთვისაც კი ჯერ არსებობს წყაროა და შემდეგ — სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია. ასე უნდა იყოს ყველასათვის, ვინც ხელფასზეა და სხვა შემოსავალი არ გააჩნია. ეს „სხვა შემოსავალიც“, ხელფასს არ უნდა აღემატებოდეს, რომ შუა თვესა და თვის ბოლოს ხელფასის გაცემის თარიღები არ გადაგვიწიოს.

გარდა ამისა, ხელფასს ზნეობრივი სტატუსიც აქვს — იცი, რომ ეს შენი ნაშრომის ფასია, შენი აზრის და მარჯვენის საჯარო აღიარება. რატომ საჯარო? იმიტომ, რომ მშრომელი კაცის ფინანსური უზრუნველყოფა ვინმე პიროვნებაზე კი არ არის დამოკიდებული, ფულს თავისი ჯიბიდან ზემდგომი კი არ გიხდის, არამედ სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან კოოპერაციული ორგანიზაცია. ალბათ, ეს მხარეც არის ნაგულისხმევი, როცა ფულს ჩვენში მაცარ ოფიციალურ ენაზე სახელმწიფო ბანკის ნიშანი დაარქვეს.

ასე თუ ისე, ჩვენ შეჩვეულები ვართ, და ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარად არ აღვიქვამთ, თორემ ხელფასის აღება საზოგადოებრივი აქტია, მაშინაც კი, თუ იგი საოჯახო ბიჯეტის მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებს.

რაღა თქმა უნდა, ხელფასის დროულად გაცემა ელემენტარული წესია და მის დარღვევას ჩვენს ქვეყანაში საგანგებო კანონი კრძალავს. მართლაც, შენ შენი ვარაუდი გაქვს, იცი, რომ გეკუთვნის, ელი, და ამ დროს რატომღაც, ვიღაცის დაუდევრობის გამო ზედმეტი საზრუნავი და საწუხარი გიჩნდება. ტყუილად არ უთქვამთ რომაელებს: „ორმაგად გაძლევს, ვინც დროზე გაძლევსო“.

ლათინური ანდაზის სიბრძნეს და პრაქტიკულობას არ იზიარებენ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში. ხელფასების დაგვიანება აქ დიდ ცოდვად არ ითვლება. ვადაგადაცილებული დავალიანება სისტემას განუხრელად ეზრდება როგორც რაოდენობრივად, ასევე თანხობრივადაც. მაგალითად, 1984 წელს აღრიცხული იყო დაგვიანების 398 შემთხვევა, თანხა — 2.982.300 მანეთი, 1985 წელს — 442 შემთხვევა, თანხა — 3.347.800 მანეთი. უარესი მდგომარეობაა წელს. იანვარში ხელფასები დაგვიანებით გაიცა 86-ჯერ, რამაც 858.500 მანეთი შეადგინა. თუ ასე გაგრძელდა, წლის ბოლოს ათ მილიონამდე ავა.

აზმეტის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შარშან არც ერთხელ არა აქვს სახელფასო ფული დროულად გატანილი ბანკიდან. წელსაც ასე გრძელდება. პირველი თებერვლისათვის მას ერიცხება ათიათასობით მანეთის ვადაგადაცილებული დავალიანება. დაგვიანება ერთი და ორი დღით კი არ განისაზღვრება, არამედ ოცით. სამმართველოს სტატისტიკური ანგარიშები არარეალურია. 1984 წლის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმის შესრულებაში მას დაშვებული ჰქონდა წამატება 131 ათასი მანეთით 350 ათასი მანეთის გეგმის პირობებში.

ყოველივე ეს სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ და თვით სახბანკის აზმეტის განყოფილებამ რამდენჯერმე აცნობეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, პარტიის აზმეტის რაიკომს და რაისაბჭოს აღმასკომს. მაგრამ ჯერჯერობით რაიმე სასიკეთო შედეგი არ ჩანს.

ყოველთვიურად აგვიანებენ ხელფასს ბოგდანოკინა და ხუღლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები, თბილისის საწარმოო გაერთიანება „თოლია“ და სხვანი.

ამ მიუტევებელ გაუგებრობათა ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სისტემის მძიმე საფინანსო მდგომარეობას ასახელებენ.

თავისთავად პარადოქსია, რომ მომსახურების სფერო წამგებიანია, განვითარებულ ქვეყნებში იგი ყველგან დიდად მოგებას იძლევა, მაგრამ ხომ დადგენილია, რომ გარდა ამ მართლაც არსებული მიზეზისა, ხშირად საწარმოთა ხელმძღვანელების დაუდევრობითაც იღახება მომსახურე პერსონალის ინტერესები.

რატომ უნდა მიაჩნდეს, ვთქვათ, სამმართველოს უფროსს მუშა-მოსამსახურეებთან შრომითი ანგარიშსწორება სასხვათაშორისოდ, გადასადებად, შეორეხარისხოვნად? რას არ გაფიქრებენს ეს კაცს. თვითონ ხელფასის გარდა ხომ არა აქვს სხვა, ძირითადი შემოსავალი, ჩვენ რომ უშრომელს ვეძახით?

უხეში დარღვევები აქვთ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს III ტრესტს (მმართველი — კ. შაკაია). შარშან 39-ჯერ დაუგვიანეს მშენებლებს ხელფასი, თანხამ 3.062.000 მანეთი შეადგინა. სხვა მიზეზებთან ერთად სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ ისიც კი დაუშვა, რომ ხელფასი შეცდომით საშუალოზე ნაკლები დაგეგმა თითოეულ მუშაზე.

საქართველოს პროფსაბჭოს შრომის სამართლებრივი ინსპექციის ცნობით, არც საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, არც მშენებლობისა და საშენი მასალების მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, არც აფხაზეთის (სადაც ასევე მოუწესრიგებელია ხელფასის გაცემა) პროფსაბჭო ქმედით ღონისძიებებს არ მიმართავენ შრომითი კანონმდებლობის დასაცავად.

ამგვარი დაუდევრობისა და უგულისყურობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად გაკიცხა და დასაჯა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სისტემის ხელმძღვანელი მუშაკები.

ჩანს, ზოგიერთებისათვის გაკვეთილი ფუჭი და უსარგებლოა. ავიწყდებათ, რომ ხელფასის დროზე გაცემას ვერაფერმა ვერ უნდა შეუშალოს ხელი.

გ. გიორგაძე.

პოლიგრაფისტი საპატიო პროფესიაა

მასობრივი ინფორმაციის ბუმის პირობებში, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო მეტ მასშტაბებს იძენს, იოლი გასაგებია, თუ რატომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა პოლიგრაფიული ბაზის დაჩქარებულ განვითარებას როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით.

მსოფლიოში „ყველაზე მკითხველ“ ქვეყანად ითვლება საბჭოთა კავშირი. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკაც არ არის გამონაკლისი: ათიათასობით ტირაჟით იბეჭდება ჩვენში სხვადასხვა სახის ლიტერატურა, გამოდის პერიოდული გამოცემა, გაზეთები... ახლდება, ვითარდება პოლიგრაფიული ბაზა, ინერგება წყობის, ბეჭდვის თანამედროვე მეთოდები, ახალი, გაუმჯობესებული მანქანა-დანადგარები, რაც, ბუნებრივია, მოითხოვს კადრების მაღალ კვალიფიკაციას, საერთოდ, ამ სფეროს საჭირო კადრებით უზრუნველყოფას.

რესპუბლიკის პოლიგრაფიულ საწარმოებში ხშირად გაიგონებთ ჩიკოლს, გვაკლია კვალიფიციური ლინოტიპისტები, ასოთამწყობები, მკინძავები, მაღალი თუ ოფსეტური ბეჭდვის მბეჭდავებიო.

კადრები აკლიათ, თბილისის № 111-ე საშუალო პროფტექნიკური პოლიგრაფიული სასწავლებელი კი წლიდან წლამდე სრულად ვერ კომპლექტდება მოსწავლეებით. რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის პოლიგრაფიული ბაზები რატომღაც ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ ადგილობრივი ახალგაზრდების მოზიდვისადმი, რათა შეასწავლონ პროფესია სპეციალურ სასწავლებელში.

სასწავლებელი სთხოვს რესპუბლიკის პოლიგრაფიულ საწარმოებს გამოგვიგზავნონ განაცხადი, რამდენი და რა პროფესიის სპეციალისტი სჭირდებათ მეთორმეტე ხუთწლედში — 1986 წლიდან. რაც უფრო ოპერატიულად გამოიგზავნება განაცხადი, მით უკეთესი.

ჩვენს სასწავლებელში სწავლა რვაკლასდამთავრებულთათვის სამი წელიწადია, ხოლო საშუალო სკოლადამთავრებულებისათვის — ორი ან ერთი წელიწადი სპეციალობების შესაბამისად.

ვამზადებთ მაღალი კვალიფიკაციის ლინოტიპისტებს, ასოთამწყობებს, მკინძავებს, მაღალი ბეჭდვის მანქანა-დანადგართა გამმართველებს, მაღალი და ოფსეტური წესით ბეჭდვის სპეციალისტებს.

ტექნიკურ პროგრესს თან სდევს ახალი პროფესიების შემოღებაც. უკვე მკვიდრად იკიდებს ფეხს, სულ მალე კი კიდევ უფრო განვითარდება ფოტოწყობის პროგრესული მეთოდი. უახლოეს ხანში სასწავლებელში გაიხსნება სპეციალური ჯგუფი ფოტოწყობის ოპერატორების მოსამზადებლად.

111-ე საშუალო პროფტექნიკურ პოლიგრაფიულ სასწავლებელს აქვს კარგი ბაზა, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, ჰყავს თავისი საქმის ჩინებული პედაგოგ-მასწავლებლები და ოსტატები. მალე დამთავრდება საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, აქ ყველა პირობა შეიქმნება მოსწავლეთა მშვიდი, მყუდრო, საცხოვრებელი გარემოსათვის.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, დიღმის მასივი, მეგობრობის პროსპექტი, 7-ა, ტელეფონი: 51-30-70.

თ. ინწკირველი,
თბილისის 111-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური პოლიგრაფიული სასწავლებლის დირექტორი.

ეხოვითში

ფაქტები • მოვლენები

სოციალისტურ ქვეყნებში

უნგრეთი
ფართოვდება თანამშრომლობა

ბუდაპეშტი. სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა, საბჭოთა პარტნიორებთან თანამშრომლობის გაფართოება — ასეთია მიმდინარე ხუთწლედში უნგრეთის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის განვითარების ძირითადი მიმართულებები.

საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს შორის საავტომობილო ტექნიკის ორმხრივი მიწოდების მოცულობა მომავალი ხუთი წლის მანძილზე 30 პროცენტით გადიდდება. გაიზრდება საბჭოთა ავტომობილების ექსპორტი მომძე ქვეყანაში, გაფართოვდება საბჭოთა კავშირში კომფორტული უნგრული ავტობუსების „იკარუსების“ მიწოდება. საბჭოთა საწარმოები მიაწვდიან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას ავტობუსების, სატვირთო ავტომობილების მაკომპლექტებელ კვანძებს.

სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი დარგია, თქვა საკავშირო კორესპონდენტთან საუბარში უნგრეთის საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „მოგიურტის“ გენერალურმა დირექტორმა ლ. ტოტმა. ჩვენმა გაერთიანებამ სსრ კავშირში გაგზავნა 100 ათასზე მეტი კომფორტული ავტობუსი.

გდრ
სანარმოს იუბილე

ბერლინი. ველოსიპედების დამზადებიდან თანამედროვე საფეიქრო მანქანებამდე — ასეთი გზა განვლო თავისი არსებობის 100 წლის მანძილზე კარლ-მარქს-შტადტის ფაბრიკამ „ელიტე-დიამანტმა“, რომელიც კომბინატ „ტექსტილის“ შემადგენლობაში. შედის.

ჯერ კიდევ 50-იან წლებში ფაბრიკაში შეიმუშავეს ტანსაცმლის წარმოების ახალი ტექნოლოგია, ამჟამად კი უშვებენ ავტომატებს, რომლებსაც კომპიუტერები მართავენ. წლეულს „ელიტე-დიამანტი“ დაიწყებს ელექტრონულ მოწყობილობათა სერიულ წარმოებას, რომლებიც დიზაინერებს დაეხმარება მრავალრიცხოვანი ორნამენტისა და ნახვის მოფიქრება-შექმნაში.

რუმინეთი
ენერგეტიკოსთა წარმატება

ბუქარესტი. მომდინარე წლის საგეგმო დავალებათა შესრულებაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს „რკინის კარი-1“ და „რკინის კარი-2“ ჰიდროელექტროსადგურების კოლექტივებმა. ეს ჰიდროელექტროსადგურები აგებულია საბჭოთა კავშირის ფართო ტექნიკური დახმარებით. ენერგეტიკოსებმა, რომლებიც თავიანთ მიღწევას რუმინეთის კომპარტიის დაარსების 65 წლისთავს უძღვნიან, გამოიმუშავეს და ქვეყნის სახალხო მეურნეობას მიაწოდეს 100 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ზეგეგმითი ელექტროენერგია.

ფოტოინფორმაცია

დუნაი-შავი ზღვის სანაოსნო არხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუმინეთის ეკონომიკური განვითარებისათვის. 64,2 კილომეტრი სიგრძის ახალი სატრანსპორტო მაგისტრალით შეიძლება იმოძრაონ 5 ათასამდე ტონა წყალწყვის გემებმა.

სურათზე: 263 მეტრი სიგრძის კიდული ხიდი, რომელიც აგებულია არხის ტრასაზე აჯიჯაში.

აუზრპრეს-საპრესის ფოტო.

ერთსულოვნება და ფართო მხარდაჭერა

დამთავრდა ბულგარეთის კომპარტიის XIII ყრილობა

სოფია. მუშაობა დაამთავრა ბულგარეთის კომპარტიის XIII ყრილობამ. ოთხი დღის განმავლობაში კულტურის სახლხო სასახლის დარბაზში დელეგატები განიხილავდნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ტ. ჟივკოვის სიტყვას, ყრილობის თეზისებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების თაობაზე.

პარტიულ ფორუმზე გამოსვლებში ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ბულგარეთის კომპარტიის გენერალურ ხაზს საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მეთაურობით, კომუნისტური და მუშათა პარტიების, სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების, რევოლუციურ-დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა დელეგაციები.

დელეგატებმა მიიღეს რეზოლუცია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და ყრილობაზე ტ. ჟივკოვის სიტყვის გამო, რომელშიც მთლიანად და სრულად არის მოწონებული ბულგარეთის კომპარტიის XII ყრილობის შემდეგ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა. მიიღეს აგრეთვე გადაწყვეტილება, რომელიც იწოდ ენებს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის პარტიის მუშაობის თეზისებს.

ყრილობის დახურულ სხდომაზე გაიმართა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის არჩევნები. ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ პლენუმზე ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად კვლავ აირჩიეს ტ. ჟივკოვი. აირჩიეს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, ცენტრალური კომიტეტის მდივნები.

შრომა და კაპიტალი

● იაპონია

საგაზაფხულო შეტევა დაიწყო

„ჩვენ გამანადგურებლები და ხომალდები კი არა, სკოლები და საავადმყოფოები გვინდა!“ — ასეთი ლოზუნგით გაიმართა მასობრივი მიტინგი ტოკიოს კასუმიგასეკის რაიონში. იაპონიის საზოგადოებრიობის ამ ღონისძიებით დაიწყო მშრომელთა ტრადიციული საგაზაფხულო შეტევა ლიბერალ-დემოკრატთა მთავრობის მიერ სოციალური პროგრამების ხელყოფის წინააღმდეგ. მანიფესტაციის მონაწილეებმა (სურათზე) გულისწყრომით დაგმეს განათლების ხარჯების შემცირება, მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებული ფენებისათვის შეღავათებისა და დახმარების გაუქმების კურსი, რომელიც მსხვილი კაპიტალისა და სამხედრო მანქანის სრულყოფის ინტერესებს ემსახურება. „შემცირდეს სამხედრო უწყების ასიგნებანი, გაიზარდოს მოსახლეობისთვის საჭირო ხარჯები — ამას მტკიცედ მოითხოვს ხალხი!“ — ნათქვამია მიტინგის მონაწილეთა მიერ მიღებულ მიმართვაში.

საპრესის ფოტო.

● საფრანგეთი

დიქტატორის ვიზიტს გმობენ

პარიზი. საფრანგეთში სამხრეთ კორეის დიქტატორის ჩონ დუ ხვანის მომავალი ოფიციალური ვიზიტის წინააღმდეგ მტკიცე პროტესტი განცხადეს კომპარტიისა და კომუნისტური ახალგაზრდობის მოძრაობის პარიზის რაიონის ფედერაციებმა. აქ გავრცელებულ განცხადებაში მათ აღნიშნეს, რომ სეულელ მმართველს პასუხისმგებლობა ეკისრება სამხრეთ კორეის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, ყველა იმათ წინააღმდეგ სისტემატური რეპრესიებისათვის, ვინც ხმას იმაღლებს ძალმომრეობის, წამებისა და დიქტატორული რეჟიმის თარეშის აღსაკვეთად. პარიზში ჩონ დუ ხვანის ჩამოსვლა, აღნიშნავენ დოკუმენტის ავტორები, ყველა იმათი შეურაცხყოფაა, ვინც ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებებისა და ღირსების დასაცავად იბრძვის.

კრესპ ალაბსტურებს
„ნეოგლობალიზმის“ სულისკვეთებით

ნიუ-იორკი. რეიგანის ადმინისტრაცია, იუწყება გაზეთი „ნიუსდეი“, გაძლიერებით ახსამს ხრაცს „ნეოგლობალიზმისა“ და „მცირე ინტენსიურობის კონფლიქტების“ დოქტრინას, რომელიც გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებას გამოიყენოს სამხედრო ძალა თავისი გლობალური ინტერესების უზრუნველსაყოფად.

დოკტრინის ფარგლებში შეერთებული შტატები უკვე შეუდგა სპეციალური დანიშნულების ჯარების სწრაფად ზრდას. 1987 საფინანსო წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს ახალი სატრანსპორტო თვითმფრინავების, სწრაფმავალი სადესანტო საზღვაო გემების, „მცირე ინტენსიურობის კონფლიქტებში“ მონაწილეობისათვის ორი სპეციალიზებული „მსუბუქი დივიზიის“ შექმნას, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან ახალი სახეობის იარაღით. სამხედრო მოქმედების შესაძლო რაიონებად გაზეთი ახასელებს ლიბიის ტერიტორიას, არაბეთისა და კორეის ნახევარკუნძულებს. 1992 წლისათვის პენტაგონი გეგმავს სპეციჯარების რიცხვის ზრდას 1980 წელთან შედარებით 80 პროცენტით, სადესანტო თვითმფრინავებისას — 150 პროცენტით. თითქმის ორჯერ გაიზრდება შორ მანძილზე საჰაერო დესანტის გადაყვანის შესაძლებლობა და შვიდჯერ — საზღვაო დესანტისა.

ჰელმუტ შმიდტის ინვერვიუ

ტოკიო. თვალსაჩინო დასავლეთგერმანელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილმა ფედერალურმა კანცლერმა ჰელმუტ შმიდტმა დაგმო ბონის გადაწყვეტილება შეუერთდეს რეგანისეულ „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას. იაპონიის გაზეთ „ასაჰისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ამ მორიგების კონკრეტულ დეტალებს საიდუმლოდ ინახავენ, რაც დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის სერიოზულ ეჭვს იწვევს ახლანდელი შეთანხმების ნამდვილი მიზნების მიმართ. ჰელმუტ შმიდტმა განაცხადა, რომ დასავლეთ ევროპასა და იაპონიას არ მართებთ ნაჩქარევად იკისრონ ვალდებულება მონაწილეობდნენ „სტრატეგიულ თავდაცვის ინიციატივაში“, რადგან იგი სულაც არ ემსახურება მათი უშიშროების განმტკიცებას.

მოკლედ

დამთავრდა პერეს დე კუელიარის ვიზიტი

● **გუენოს-აირესი. დამთავრდა არგენტინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარის ვიზიტი.** მან მოლაპარაკება გამართა პრეზიდენტთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. განიხილეს ცენტრალური ამერიკის ვითარება, ლათინოამერიკული ქვეყნების საგარეო ვალის პრობლემა, სამხრეთ ატლანტიკაში შექმნილი სიტუაცია, სადაც გრძელდება ინგლისის მიერ მალვინის (ფოლკლენდის) კუნძულების ოკუპაცია.

მოითხოვეს მინისტრის გადადგომა

● **ლონდონი. დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ მოითხოვა ტორის მთავრობის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კეტ ჯოზეფის გადადგომა, ოფლის ამ პოსტზე ყოფნის განმავლობაში მკვეთრად გაძვნავდა კრიზისული მოვლენები განათლების ეროვნულ სისტემაში.**

კონტრრევოლუციის გამოსდომა

● **ქაბული. ავღანეთის კონტრრევოლუციამ კიდევ ერთი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინა.** როგორც ბაჰთარის საგაზეთო იუწყება, გუშინ დილაადრიანად ქალაქის ერთ-ერთ რაიონში აფეთქდა მსუბუქი ავტომობილანა, რომელშიც ჩადებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა. ორიან დაშავებულნი. დაზიანდა აფეთქების რაიონში მდებარე შენობები.

მანიფესტაციები ჩილეში

● **სანტიაგო. დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში გაიმართა მანიფესტაციები, რომელთა მონაწილენი მოითხოვდნენ სამხედრო-ფაშისტური რეჟიმის გადადგომას.** პოლიციასთან მანიფესტანტთა შეტაკებების ასპარეზი გახდა დედაქალაქის ღარიბთა უბნები, სადაც 500-მდე მცხოვრებმა პინოჩეტის მმართველობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად კარვების ბანაკი მოაწყო. შეტაკების შედეგად 30 კაცი მძიმედ დაშავდა, მათ შორის ქალები და ბავშვები.

გაგარინის გზით

კაცობრიობის ისტორიის ღირსახსოვარ თარიღს — ი. ა. გაგარინის კოსმოსური ფრენის 25 წლისთავს მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც 7 აპრილს გაუმართეს საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტროს პრესცენტრსა და მოსკოვის ოლქის ფრენის მართვის ცენტრში. კოსმოსურმა ტელეხიდმა მისი მონაწილენი დაუკავშირა „მირ“ ორბიტული სამეცნიერო სადგურის ბორტს, რომელზეც სამი კვირაა შრომობენ ლ. კიზიმი და ვ. სოლოვიოვი.

— ორბიტული სადგური, რომელშიც თქვენ მუშაობთ, მშვიდობის სახელს ატარებს. შემთხვევითია ეს სახელწოდება, თუ არა? — ასეთი იყო პირველი კითხვა.

— რა თქმა უნდა, სახელწოდება არ არის შემთხვევითი, — უპასუხებს ლეონიდე კიზიმი,— იგი გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მუდმივ მისწრაფებას მშვიდობისადმი, კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი ათვისებისადმი. ჩვენი სადგური ორბიტული სხლია, რომელშიც ჩვენ ვეწევით მეცნიერულ კვლევას მშვიდობის საკეთილდღეოდ, მთელი კაცობრიობის სასიკეთოდ. ახლა, როდესაც კოსმოსს მილიტარიზაციის საფრთხე ემუქრება, გვინდა ჩვენი შრომით დავამტკიცოთ: დედამიწისირგვლივ ორბიტებზე იარაღი არ უნდა იყოს, აქ მხოლოდ მშვიდობა უნდა სუფევდეს.

ჟურნალისტებმა ეკიპაჟს ჰკითხეს, რით განსხვავდება კვლევის ახლანდელი პროგრამა წინა სადგურებში მუშაობისაგან?

— ჩვენი სადგური ჩაფიქრებულია, როგორც ორბიტის მუდმივმქმედი კომპლექსის საბაზო ბლოკი, — თქვა მ. სოლოვიოვმა. „სალუტებისაგან“ განსხვავებით მას აქვს სხვადასხვა დანიშნულების მოდელების მიპირაპირების ექვსი კვანძი. ეს შესაძლებლობას გვაძლევს მუშაობის პროცესში დაეუმატოთ კოსმოსურ ლაბორატორიის სპეციალური „საკრეფები“ — ტექნოლოგიური, ბიოლოგიური, გეოფიზიკური [illegible] ექსპერიმენტებისა.

— საბჭოთა კოსმონავტებმა [illegible] ... ზეგრძელ [illegible] ... ზაცია. რა დარგებში შეიძლება ემსახუროს პროგრამას ასეთი გაერთიანება? — ამ კითხვით მიმართა კოსმონავტებს ახალი ამბების საგაზეთო კორესპონდენტმა.

— არ მეგულება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ისეთი მიმართულება, რომელსაც ეს სარგებლობას არ მოუტანდა, — თქვა ეკიპაჟის მეთაურმა. — „ვეგერა-ჰალეის კომეტის“ საერთაშორისო პროექტის ამასწინანდელმა წარმატებამ ცხადყო, რაოდენ ნაყოფიერი შეიძლება იყოს სხვადასხვა ქვეყნის თანამშრომლობა კოსმოსის ათვისებაში.

სსრ კავშირში აკრედიტებულ უცხოელ კორესპონდენტთა დიდმა ჯგუფმა ამ დღეს დაათვალიერა ფრენის მართვის ცენტრი. საბჭოთა კოსმონავტიკის განვითარების მთავარი ეტაპების, მისი შიღწევების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სახალხო მეურნეობის პრაქტიკისათვის კოსმოსური კვლევის შედეგების მნიშვნელობის შესახებ ილაპარაკეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გამოსვლისას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, „ინტერკოსმოსის“ საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ვ. კოტელნიკოვმა, აკადემიკოსებმა ა. ბოგომოლოვმა, ო. გაზენკომ, ი. ზელდოვიჩმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა ა. ბარსუკოვმა, ა. ბოიარჩუკმა, ნ. კარდაშევმა, სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა ნ. რუკავიშნიკოვმა.

ვ. ოვჩაროვი,
საკადესის კორ.

ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡ თᲐᲠᲝ

განთიადის სათავეებთან

ლენინური მემკვიდრეობითობის საფუძველზე მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის მნიშვნელოვან საქმეს ემსახურება პროფესორ აკაკი ირემაძის ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებიც საინტერესოდ და დამაჯერებლად აჩვენებენ ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა გმირული ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტები.

ამის დამადასტურებელია თუნდაც მისი ახლახან გამოცემული მონოგრაფია „განთიადის სათავეებთან“, რომელიც ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის “ბრძოლის მეცნიერული კვლევის შედეგების ფართო, განმაზოგადებელი ხასიათის გამოკვლევაა. იგი ახალი, უაღრესად საინტერესო დოკუმენტებისა და დღემდე უცნობი საარქივო მასალების გამოყენებით აჩვენებს მუსავატური, დაშნაკური და მენშევიკური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების სისხლიან დიქტატურათა დანაშაულობებს, ნათელს ფენს მათს წინააღმდეგ ამხედრებულ მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს.

ნაშრომში ბევრი სადავო საკითხი სწორი, მარქსისტულ-ლენინური პოზიციიდან არის გაშუქებული. ავტორი გვერდს არ უვლის, არ ჩქმალავს მწვავე პრობლემებს, რაც უდავოდ ზრდის მონოგრაფიის ღირსებას.

მართალია, ნაშრომს ახლავს ვრცელი რეზიუმე რუსულად, მაგრამ იგი წიგნზე სრულ წარმოდგენას ვერ იძლევა და საჭიროდ მიგვაჩნია მისი რუსულ ენაზე გამოცემაც.

გ. ბრეგაძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ე. მ. ჯაფარიძე

ე. მ. ჯაფარიძე დაიბადა 1911 წელს ონის რაიონის სოფელ სეკვაში გლეხის ოჯახში. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან განვლო გზა ინჟინერიდან ტრესტის მმართველამდე. 1950 წელს იგი გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილედ.

1952-1954 წლებში ე. მ. ჯაფარიძე მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. შემდეგ იგი კვლავ პარტიულ სამუშაოზეა — იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე. 1961-1962 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ.

1963 წლიდან ე. მ. ჯაფარიძე იყო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, 1965 წლიდან კი ერთდროულად ეკავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტიც. 1979 წლიდან, პენსიაზე გასვლის შემდეგ, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იგი განაგრძობდა აქტიურ საქმიანობას, იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო

გარდაიცვალა რესპუბლიკის თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე — სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, სკკპ წევრი 1939 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ერმალო მინას ძე ჯაფარიძე.

ე. მ. ჯაფარიძე დაიბადა 1911 წელს ონის რაიონის სოფელ სეკვაში გლეხის ოჯახში. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან განვლო გზა ინჟინერიდან ტრესტის მმართველამდე. 1950 წელს იგი გადაჰყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილედ.

1952-1954 წლებში ე. მ. ჯაფარიძე მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. შემდეგ იგი კვლავ პარტიულ სამუშაოზეა — იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე. 1961-1962 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ მინის

ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ორთოპედი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელიზბარ გრიგოლის ძე ჭურდღიანი საქართველოში ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის დარგების განვითარების ერთ-ერთი პიონერია. მას დიდი ღვაწლი მოუძღვის საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებათა მკურნალობის პროგრესული მეთოდების დანერგვასა და ექიმთა სათანადო კადრების მომზადებაში. ეს კადრები ახლა წარმატებით მუშაობენ რესპუბლიკის ორთოპედიულ და ტრავმატოლოგიურ დაწესებულებებში.

ელიზბარ ჭურდღიანი მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის ინჟინერ გრიგოლ ჭურდღიანის ოჯახში დაიბადა. 1929 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ორდინატორად აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის კლინიკაში. შემდეგ იგი ზემო სვანეთში, მესტიის საავადმყოფოში, რესპუბლიკის ცენტრალურ საავადმყოფოში ახლად დაარსებულ ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში მუშაობს. ამ განყოფილებას მაშინ გამოჩენილი ორთოპედი პროფესორი მ. ცხაკაია ხელმძღვანელობდა. 1935 წელს ელიზბარი აირჩიეს სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო ქირურგიის და ტრავმატოლოგიის კურსის ასისტენტად, ხოლო 1947 წელს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის კათედრის დოცენტად, 1968 წლიდან კი კათედრის პროფესორად.

ისიც უნდა ითქვას, რომ 1932 წლამდე საქართველოში ორთოპედია და ტრავმატოლოგია, როგორც ცალკე დისციპლინა, არ არსებობდა. ამ მდგომარეობამაც განაპირობა, რომ ე. ჭურდღიანი სამეცნიერო მიზნით და ორთოპედიაში სათანადო კვალიფიკაციის მისაღებად 1932 წელს ლენინგრადის ტრავმატოლოგიის ინსტიტუტში მიავლინეს, ხოლო შემდეგ ხარკოვში პროფესორ მ. სიტენკოს ხელმძღვანელობით გაიარა სპეციალური კურსი. ელიზბარმა აქ დიდალი კლინიკურ-მორფოლოგიური მასალა დაგროვა, დაამუშავა, მოამზადა შრომა და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

გამოცდილმა, უკვე კარგად ჩამოყალიბებული ორთოპედ-ტრავმატოლოგი სამამულო ომის დაწყებისთანავე წითელი არმიის რიგებში, სხვადასხვა ჰოსპიტალში მუშაობს ქირურგად, განყოფილების ხელმძღვანელად, მთავარ ქირურგად, ამავე დროს ექიმთა დახელოვნების კურსანტებსა და ამიერკავკასიის სამხედრო ექიმებს ამზადებს ტრავმატოლოგიასა და სალეკო ქირურგიაში და სხვ.

სამამულო ომის დამთავრებისთანავე ე. ჭურდღიანი უბრუნდება კათედრას და მას ნიშნავენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ეგაკოჰოსპიტალის სამმართველოს წამყვან ორთოპედად. უკვე დღის წესრიგში დაისვა საკითხი სამამულო ომის ინვალიდების რეაბილიტაციური მკურნალობის და ამ საქმის ორგანიზაციის შესახებ. ამიტომ 1946 წელს დაარსდა თბილისში სამამულო ომის ინვალიდებისათვის ორთოპედიის და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის ორგანიზატორი და დირექტორია პროფესორი მ. ცხაკაია, ე. ჭურდღიანს კი ირჩევენ აღდგენითი ქირურგიის კლინიკის, შემდეგ საეციალური ტრავმატოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად. ეს იყო პირველი ტრავმატოლოგიური განყოფილება რესპუბლიკაში, რომელსაც პრაქტიკული სამკურნალო მუშაობის გარდა ამ დარგში მეთოდიკური ხელმძღვანელობა ეკისრებოდა. ამ ინსტიტუტში იგი ბავშვთა ორთოპედიულ განყოფილებასაც ხელმძღვანელობს. 1968 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „მასალები მენჯ-ბარძაყის სახსრის პათოლოგიისათვის“, ღებულობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხსა და პროფესორის წოდებას.

პროფესორი ე. ჭურდღიანი 70-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, აღზარდა ორთოპედ-ტრავმატოლოგთა მთელი თაობები. მის მკერდს მთავრობის მრავალი ჯილდო ამშვენებს. ამჟამად პროფესორი ელიზბარ ჭურდღიანი საქართველოს ტრავმატოლოგ-ორთოპედთა საზოგადოების საპატიო წევრი და ინსტიტუტის კონსულტანტია და ჩვეული გულმოდგინებით ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

Ო. ᲦᲣᲓᲣᲨᲐᲣᲠᲘ,
ᲢᲠᲐᲕᲛᲐᲢᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲗᲝᲠᲝᲞᲔᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲘ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ;

Მ. ᲓᲝᲚᲝᲜᲯᲐᲫᲔ,
ᲐᲛᲐᲕᲔ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲝᲠᲗᲝᲠᲝᲞᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲖᲐ

ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲭᲣᲠᲓᲦᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 80 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲐ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲘᲜᲩᲘᲜᲨᲕᲘᲚᲘᲡ, რომელმაც სცენაზე ორმოცზე მეტი როლი შეასრულა, უველაზე რთული — პედაგოგის როლის შესრულება პირველად მოუხდა. თოჯინების ქართული თეატრის მსახიობს კოტეტიშვილის რაიკომმა დაავალა ხამოიუალიბებინა წრე თბილისის № 1 ბავშვთა სახლში.

— ბავშვებთან პირველ შეხვედრაზე, — თქვა ლევანმა, — წავიკითხე მარონეტი ნაკარქელი, ოოჯახიან ოჯახებზე დაგვამგობრა. წრეში ჩამწყობთა მსურველებისათვის კოტეტიშვილის მოწყობაც კი დაგვიარია. სულ ცამეტი ბავშვი შეკრებილვარ, მაგრამ გულნატკენი არავინ დაგვრჩენია. თეატრში სხვადასხვა პროფესიაა საჭირო. ის, ვინც არ შეუმაბის სცენაზე, გვეგზავნება სპექტაკლის გაფორმებაში, აკომპანიმენტს უწერს მას პიანინოთი ან აკორდეონით. ხის ჩუქურთმის წრის ბავშვები ამზადებენ თოჯინებს, გოგონები კერავენ კოსტიუმებს...

ბევრად უფრო ძნელია როლების განაწილება. აქ ლევანს ზოგჯერ პედაგოგიური „უმშაკობის“ გამოყენებაც დასჭირდა. პიესაში „ბეტიალი“, მაგალითად, მან მთავარი როლის შესრულება მეშვიდეკლასელ ჯიმშერს შემთხვევით როდი მიანდო.

— ბიჭუანი ყმაწვილია, ნიჭიერიც, მაგრამ შუაკითხობით არ გამოირჩევიდა, — თქვა ხიზანშვილმა. — შეშაობამ გაიტაცა და მიხვედა, რომ უშრომლად ვერაფერი მიიღწევს წარმატებას. მეტყველების კულტურა, რიტმიკა, ინტონაციული ოსტატობა, რეპეტიციებიც ხომ მეცადინეობაა, ჯიმშერი უკვე ორი წელია ჩვენთან არის, ახლა სკოლაშიც უკეთ სწავლობს.

თეატრში სხვა ბავშვებისთვისაც სკოლაა. ასე მიიჩნია ლევანს. იგი ზრდის არა მარტო მსახიობებს, არამედ მაყურებელსაც.

(საკინფორმი).

ᲫᲚᲘᲐᲠ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲠᲘ ეპიზოდები, საბჭოთა შეიარაღებული ჯარების სადაგი დღეები, საქართველოს მშრომელთა ცხოვრება არის აღბეჭდილი ტილოებზე, რომლებიც ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმის ექსპოზიციას შეუმატა. არმიელი მხატვრის, თადარიგის ჰოდპოლკოვნიკის ა. იუდინის ოჯახმა მუზეუმს ოცდაათი სურათი გადასცა ოლქის დაარსების 60 წლისთავის წინ.

პირველი ჩანახატების შესრულება ოფიცერმა დაიწყო ომში, რომლის დამთავრების შემდეგ საქართველოში გამოგზავნეს სამსახურისათვის.

დაძაბული მეხედრული სამსახურის მიუხედავად, ალექსანდრე ოდინი პოულობდა დროს ოსტატობის სრულყოფისათვის. მან დამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიასთან არსებული სამხედრო მხატვართა სტუდია, მრავალ წელს შრომობდა ოფიცერთა სოლჭო სახლთან არსებულ ფერწერის და ხატვის სტუდიაში, საქართველოს სსრ სამხატვრო-საწარმოო კომბინატის ფერწერის სამკრეში. ა. იუდინის ტილოები წარმოდგენილი იყო ფერმწერთა ყველა რესპუბლიკურ და საკავშირო დათვალიერებაზე.

ფრონტელმა მხატვარმა მგზნებარე პასიონარიის — დ. იბარურის, საბჭოთა კავშირის გმირის ვენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის პორტრეტები, სურათები „ფრონტელი მეგობარი“, „იერიში“, „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“, „თბილისის ნაცნობი კუთხე“ და სხვა ნამუშევრები აქვეა ცალკეულ გარნიზონებში, ახალგაზრდა მეომრებთან შრომელ შეხვედრაზე.

ᲮᲘᲛᲘᲙᲝᲡᲘ
Ვ. ᲤᲘᲐᲜᲝᲕᲘ.
(ᲡᲐᲙᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲗᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲒᲠᲐᲡ

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐᲘᲡᲕᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲤᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ 1985 წლის 7 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის შალვა ჩიკვაშვილის წერილი „სიახლენი სამინაო კანონმდებლობაში“, რომელმაც საერთო უურადღება მიიპყრო. მკითხველები მოგვმართავენ თხოვნით — განვუმარტოთ სამინაო კანონმდებლობის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

დღეს ვაქვეყნებთ საცხოვრებელი სახლის აღებასთან დაკავშირებით მოქალაქეთა უფლებებისა და გარანტიების თაობაზე შ. ჩიკვაშვილის პასუხს შემოსულ კითხვებზე.

ერთი წლისა. ახალი სამინაო კანონმდებლობა უკვე ასეთ მოთხოვნას აღარ შეიცავს. ამჟამად ბინაზე უფლების მოპოვებისათვის განმსაზღვრელი კრიტერიუმია არა ცხოვრების ვადა (არანაკლებ ერთი წლისა), არამედ ჩასახლების ადგილზე მოქალაქეთათვის ბინის მიცემისას არ დაიშვება ერთ ოთახში ცხრა წლის ასაკს გადაცილებული სხვადასხვა სქესის პირთა შესახლება, მეუღლეთა გარდა (საქართველოს სსრ სამინაო კოდექსი, მუხლი 51).

ᲗᲣ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲒᲠᲐᲡ

ხასიათი. აქედან გამომდინარეობს, რომ ასაღები სახლების მესაკუთრეებს, მათი ოჯახის წევრებს, აგრეთვე ამ სახლებში მუდმივად მცხოვრებ სხვა მოქალაქეებს იმავე დასახლებულ პუნქტში ეძლევათ ერთიანმოწყობილი ბინები, თუ დაკავებული საცხოვრებელი ფართობი ნაკლებია იმ ნორმაზე, რომლითაც მოცემულ დასახლებულ პუნქტში კმაყოფილდებიან სამინაო პირობების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები, ბინები ეძლევათ არანაკლებ ამ ნორმისა (9-12 კვ. მ.).

თუ ასაღებ სახლში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს ჭარნდათ ნორმით დადგენილზე (12 კვ. მ) მეტი საცხოვრებელი ფართობი, მათ ბინა ეძლევათ ერთ სულზე 12 კვადრატული მეტრის ოდენობით, ხოლო თუ მათ ჭარნდათ უფლება დამატებით საცხოვრებელ ფართობზე და ფაქტობრივად სარგებლობდნენ ამით, დამატებითი საცხოვრებელი ფართობი უნდა მიეცეთ ამ უფლების გთვალისწინებით.

ასაღები სახლებიდან გამოსახლებულ მოქალაქეებისა და ოჯახების წევრებს, ასევე ინვალიდებს, ომის ვეტერანებს, ომში დაჭრილებს, ომის ინვალიდებს, ომის ოჯახის წევრებს, ბავშვიანი ოჯახებს, ბავშვთა სახლების, ინტერნატების, ბავშვთა ბაღების, ბავშვთა ბიბლიოთეკების, ბავშვთა ამბულატორიების, ბავშვთა ბაზრების, ბავშვთა ბანოების, ბავშვთა ბანოების, ბავშვთა ბანო